UDC 379.85
SCOPUS CODE 1409
https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-4-17-24

კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა საქართველოს ტურიზმსა და მის მთავარ სეგმენტზე – სასტუმრო ინდუსტრიაზე

მარინე ბოკერია ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, 0177, თბილისი, მ. თამარაშვილის ქ. №6
E-mail: mbokeria01@gmail.com

მზია თუთბერიძე ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, 0177, თბილისი, მ. თამარაშვილის ქ. №6
E-mail: mziatutberidze@gmail.com

რეცენზენტები:

ე. სალუქვაძე, თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, გეოგრაფიის დოქტორი
E-mail: elene.salukvadze@gmail.com

ნ. პავლიაშვილი, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი
E-mail: npavliashvili@gmail.com

ანოტაცია. კოვიდ-19-ის პანდემიამ ადამიანურ მსხვერპლთან ერთად მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ეკონომიკის არაერთ დარგს, პირველ რიგში ტურიზმს და მის მთავარ სეგმენტს – სასტუმრო ინდუსტრიას. პანდემიამდე 2019 წელს, საქართველოს ტურიზმმა ქვეყნის დამოუკიდებლობის პერიოდში ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია. ტურისტული ვიზიტების რეოდენობა 5,1 მლნ. იყო, შემოსავლები ტურიზმიდან მშპ-ის 8,4%-ს, ხოლო ინდუსტრიაში მომუშავეთა რაოდენობა ქვეყანაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 11,6%-ს შეადგენდა. პანდემიის პირველი წლის ბოლოს საქართველოში საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები 78,5%-ით (2020 წ.) შემცირდა და საქართველოს სასტუმროებისა და კვების სფეროს ობიექტების 66%-მა საქმიანობა შეაჩერა. პანდემიის პერიოდში სასტუმროების ნაწილი მთავრობის გადაწყვეტილებით საკარანტინო სივრცეებად და კოვიდსასტუმროებად იქნა გამოყენებული. კრიზისის გადასალა-

ხად შემუშავდა მიზნობრივი ღონისძიებები – გათვალისწინებული იყო ტურიზმის ინდუსტრიის სუბიექტებისათვის ფინანსური შეღავათები, დახმარებები, სპეციალური აქტივობები, მაგრამ კრიზისის მართვის გეგმა არ იყო გამართული და მასში არ იყო გათვალისწინებული პანდემიის შემდეგ ცვლილებების აუცილებლობა. პარდემიამ გაამწვავა კადრების გადინება და სხვა სფეროებში გადანაწილება. ტურიზმის სახეობებიდან პოსტპანდემიურ პერიოდში მოსალოდნელია სამკურნალო-გამაჯანსაღებელ, აგრეთვე, ეკოლოგიურ სათავგადასავლო ტურებზე მოთხოვნილებების ზრდა, რაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი განთავსების საშუალებით.

საკვანძო სიტყვები: კოვიდ-19; პანდემია; სასტუმრო ინდუსტრია; საქართველო; ტურიზმი.

შესავალი

სასტუმროს ინდუსტრია, როგორც ტურიზმის მნიშვნელოვანი სეგმენტი და სოციალურ-ეკონომიკური ფენომენი, პირდაპირ და ირიბ გავლენას ახდენს ტურიზმის და მასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. ტურიზმი ეკონომიკის დინამიკური სექტორია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის ფორმირებაში, საგარეო სავაჭრო ბალანსის გააქტიურებაში, მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების უზრუნველყოფაში.

ტურიზმი და მასთან ერთად სასტუმრო მეურნეობა სენსიტიურია როგორც ქვეყნის გარე, ისე შიგა ფაქტორების მიმართ, როგორიცაა სამხედრო კონფლიქტები, ტერორიზმის საშიშროებები, ბუნებრივი კატაკლიზმები, ეკონომიკური კრიზისები და ვირუსული ინფექციების პანდემიური გავრცელება.

ცხრილი 1

საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები მსოფლიოსა და საქართველოში (2018-2021 წწ.)

რეგიონი/ქვეყანა	საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების რაოდენობა მსოფლიოსა და საქართველოში (მლნ.)				საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობის ცვლილება			
	2018	2019	2020	2021	2019/2018	2020/2019	2021/2020	2021/2019
ევროპა	715,8	746,1	283,7	279,8	4,2	-68,0	17,2	-62,5
ამერიკა	216,0	219,3	69,9	81,9	1,5	-68,1	17,2	-62,7
აზია და ოკეანეთი	346,5	360,4	59,4	20,9	4,0	-83,6	-64,9	-94,0
ახლო აღმოსავლეთი	65,5	69,9	19,0	14,5	6,7	-74,0	-23,7	-79,3
აფრიკა	67,2	68,6	15,9	17,9	2,1	-76,8	12,6	-73,9
საქართველო	4,7	5,1	1,1	1,6	8,5	-78,5	45,4	-68,7

**ცხრილი შედგენილია ავტორების მიერ World Tourism Barometer და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის (gnta.ge) მონაცემების საფუძველზე.*

ამის მაგალითია მსოფლიოში ბოლო წლებში განვითარებული უპრეცენდენტო მოვლენა, როცა მსოფლიოს თითქმის 200 ქვეყანა ერთი და იმავე პრობლემის წინაშე დადგა [1]. 2019 წლის ბოლოს მსოფლიოში გავრცელებულმა კორონავირუსმა საქართველოში საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები 78,5%-ით (2020 წ.) შეამცირა (ცხრ. 1) და საქართველოს სასტუმროების და კვების სფეროს ობიექტების 66%-მა საქმიანობა შეაჩერა [2].

ძირითადი ნაწილი

საქართველოს ტურიზმის სექტორი პანდემიამდე

ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ტურიზმი ჩამოყალიბდა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად. 2019 წელს საქართველოში საერთაშორისო ვიზიტიორების ვიზიტების რაოდენობა 7,7 მლნ-ს, მათ შორის ტურისტული ვიზიტები 5,1 მლნ-ს, შემოსავლები ტურიზმიდან 3,3 მლრდ. აშშ დოლარს ანუ მშპ-ის 8,4%-ს შეადგენდა, ხოლო ინდუსტრიაში დასაქმებულთა რაოდენობა 150 ათას ადამიანს აჭარბებდა და ქვეყანაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 11,6% იყო. ამავე პერიოდში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბაზაში დაფიქსირებული იყო 2575 განთავსების ობიექტი, რომელთა საერთო ტევადობა 94 438 საწოლს აღწევდა [3]. ეს იყო დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე მაღალი მაჩვენებლები. საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო ვიზიტიორების პირველი ოთხეული იყო მეზობელი ქვეყნებიდან: აზერბაიჯანი, რუსეთი, სომხეთი, თურქეთი [3].

STR (Smith Travel Research) გლობალის თანახმად საქართველოს სასტუმროების დატვირთვის კოეფიციენტი 2019 წელს შეადგენდა 56,7%-ს. მაქსიმალური დატვირთვა დაფიქსირდა ზაფხულსა და შემოდგომაზე [3].

2019 წელს განთავსების ობიექტების ტევადობის ძირითადი ნაწილი თავმოყრილი იყო თბილისსა და ბათუმში (საწოლი ადგილის 53,1%), მათ მოჰყვებოდა სამცხე-ჯავახეთის მხარე და იმერეთი. საერთაშორისო ვიზიტიორების 47,7% ღამის გასათევად იყენებს სასტუმროებს და სასტუმროს ტიპის განთავსების საშუალებებს, ხოლო შიგა ვიზიტიორებიდან სასტუმროებს იყენებდა მხოლოდ 6,6% [3].

განთავსების ობიექტების ტიპები წლების განმავლობაში იცვლება და მრავალფეროვანი ხდება. 2019 წლის ბოლოს განთავსების საშუალების საერთო ტევადობის 66,3% მოდიოდა ბრენდულ სასტუმროებზე, 17,9% საოჯახო სასტუმროებზე, 8,2% სასტუმრო სახლებზე. დანარჩენი იყო ჰოსტელები, კოტეჯები, გლემპინგები. ამ უკანასკნელმა ბოლო წლებში პოპულარობა მოიპოვა, როგორც მთიან რელიეფზე კარგად მორგებულმა კემპინგის ტიპის სასტუმრომ. საქართველოში 41 ბრენდული სასტუმროა, რომელთა საერთო ტევადობა 10 135 საწოლია (განთავსების ობიექტების საერთო მოცულობის 10,7%). ბრენდული სასტუმროების – Radisson, Hilton, Marriot, Sheraton, Holiday Inn, Biltmore, Best Western, Ramada და სხვ. [4] – ტევადობის თითქმის ნახევარი თბილისშია, შემდეგია ბათუმი, ბორჯომი, წინანდალი.

პანდემიის მიმდინარეობა და ღონისძიებები ტურიზმისა და სასტუმრო მეურნეობის მხარდასაჭერად

კოვიდ-19-ის პირველი შემთხვევა საქართველოში 2020 წლის 26 თებერვალს გამოვლინდა. ხოლო 2022 წლის 23 აპრილისთვის ქვეყანაში (ოკუპირებული რეგიონების გამოკლებით) კოვიდის 1 654 163 შემთხვევაა დადასტურებული. 1 635 550 ინფიცირებული უკვე სრულად გამოჯანმრთელდა, 16 797 კი – გარდაიცვალა [5].

პანდემიის პირველი ტალღით გამოწვეული შედეგები საქართველოში სხვა ქვეყნებთან შედარებით ზომიერი იყო. სწრაფად მიღებულმა საკარანტინო ღონისძიებებმა და რეგიონში გადაადგილების შეზღუდვამ შეაჩერა ვირუსის გავრცელება. ტურიზმის სფეროსთვის, რომელიც პანდემიის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა, კრიზისის გადასალახად შემუშავდა მიზნობრივი ღონისძიებები, რომელშიც განთავსებული იყო ტურიზმის ინდუსტრიის სუბიექტებისათვის ფინანსური შეღავათები, დახმარებები, სპეციალური აქტივობები.

ქვეყნის სასტუმრო მეურნეობისა და საერთოდ ტურიზმის სექტორისათვის უმნიშვნელოვანესი იყო მთავრობის გადაწყვეტილება განთავსების ობიექტების თავდაპირველად საკარანტინო სივრცეებად, შემდეგ კი კოვიდსასტუმროებად გამოყენების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სასტუმროები ამ მიზნით გამოიყენეს. პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო 200-ზე მეტი სასტუმროს (დაახლოებით 2300 ოთახზე) ფუნქციონირებას და აქ დასაქმებული ადამიანებისათვის სამსახურისა და შემოსავლების შენარჩუნებას. ამავე დროს პროექტმა ხელი შეუწყო ისეთი სფეროების ფინანსურ მხარდაჭერას, როგორიცაა სატრანსპორტო სერვისები, საკვები პროდუქტით მომარაგება და სხვ. [6].

პირველი კარგად ორგანიზებული და მცირე დანაკლისებით ჩავლილი ტალღის შემდეგ მეორე ტალღა ძალიან მძიმე აღმოჩნდა. ზაფხულში მოსახლეობის დიდი რაოდენობის თავმოყრამ შავი ზღვის სანაპიროზე, ხოლო შემოდგომაზე ორეტაპიან არჩევნებთან დაკავშირებულმა მრავალრიცხოვანმა მიტინგებმა გამოიწვია დაავადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობის სწრაფი მატება. 2020 წელს დაავადებულთა რაოდენობა 228 410 იყო, ხოლო 2021 წელს – 708 434. ამასთანავე, 2020 წელს კუმულაციური ინციდენტობის მაჩვენებელი, რომელიც დროის მოცემულ პერიოდში ავადობის სიხშირეს ზომავს, 2020 წელს 100 000 მოსახლეზე 6 ათასი, 2021 წელს კი – 19 000 იყო [7]. 2021 წლის ბოლოდან კორონავირუსის ახალ შტამს – „ომიკრონს“, რომელიც განსაკუთრებით სწრაფი გავრცელებით ხასიათდება, 2022 წლის იანვარ-თებერვალში ყველაზე დიდი რაოდენობის დაინფიცირების შემთხვევები მოჰყვა [8].

2022 წლის გაზაფხულიდან მდგომარეობა დასტაბილურდა, გაუქმდა კოვიდსასტუმროები, მაგრამ ზაფხულის სეზონის დაწყებას მოჰყვა ავადმყოფობის შემთხვევების ზრდა. კორონავირუსის მუტაციისადმი მაღალი მიდრეკილებიდან გამომდინარე, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია არ გამორიცხავს ახალი ტალღის გაჩენას და მოსახლეობას მოუწოდებს სიფრთხილისა და ვაქცინაციისაკენ.

სასტუმრო ინდუსტრია პანდემიის დროს და მისი განვითარების გზები

კოვიდ-19-ის გავრცელებამ და მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში მოგზაურობაზე დაწესებულმა შეზღუდვებმა დააზარალა მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრია. (გლობალურ მშპ-ში ტურიზმის შენატანი 22,5%-ით შემცირდა). 2020 წლის ბოლოს საქართველოში ტურისტული ვიზიტები შემცირდა 78,5%-ით და შეადგინა 1,1 მლნ. შემოსავალმა საერთაშორისო მოგზაურობიდან შეადგინა 542 მილიონი დოლარი (კლება -83,4%). საერთაშორისო ვიზიტების ძირითადი ნაწილი ისევ მეზობელი ქვეყნებიდან შესრულდა. არ გამართლდა მოლოდინი, რომ საერთაშორისო ვიზიტების შემცირების ფონზე გაიზრდებოდა შიგა ვიზიტების რაოდენობა. თუმცა ამ შემთხვევაში კლება ნაკლები იყო -12,5%. STR გლობალის თანახმად, 2020 წელს საქართველოში სასტუმროების დატვირთვის კოეფიციენტი 21,2% იყო, კლებამ წინა წელთან შედარებით -62,3% შეადგინა [7].

2021 წელს მოხდა დადებითი ძვრები – ვიზიტიორთა რაოდენობა მცირედ – 1,7 მლნ-ით გაიზარდა [8]. 2022 წლის მარტში ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 159 199 შეადგინა, რაც ორჯერ მეტია 2021 წლის მარტის მაჩვენებელზე (ზრდა +210,6%), 2019 წლის მარტის აღდგენა კი 48,5%-ია [9]. 2022 წლიდან პანდემიის შემსუბუქებამ და უცხოელი ტურისტების ზრდამ წარმოშვა ტურისტული სექტორის გააქტიურების იმედი. თუმცა თებერვლის ბოლოს უკრაინაში ომის დაწყებას მოჰყვა სასტუმროების ჯავშნების გაუქმება.

საქართველოს სასტუმრო ინდუსტრიაში მომუშავე სპეციალისტების აზრით, მიუხედავად ხელმწიფოს მცდელობისა და არაერთი შეღავათისა, კრიზისის მართვის გეგმა არ იყო გამართული და მასში არ იყო გათვალისწინებული პანდემიის შემდეგ ცვლილებების აუცილებლობა. პანდემიამ მნიშვნელოვნად შეცვალა სასტუმრო ინდუსტრიის მომხმარებლის ქცევის წესები. ისინი პირველ რიგში აყენებენ უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ნორმების დაცვას. საქართველოს სასტუმრო ინდუსტრიის ობიექტების უმეტესობას არ გააჩნია რესურსები, რომ დანერგოს ახალი ტექნოლოგიები (სავენტილაციო, სადეზინფექციო), რათა უზრუნველყოს ტურისტების მოთხოვნები. პერსონალის მოტივაციის, პროფესიონალიზმისა და ცნებიერების ასამაღლებლად კი ჩატარდეს ტრენინგები [10].

ტურიზმის მკვლევრების აზრით პანდემიის შემდეგ, პირველ რიგში, ფუნქციებს პატარა სასტუმროები და აპარტამენტები აღიდგენენ სადაც უფრო ადვილია ჰიგიენის ნორმების დაცვა. ამას ადასტურებს 2022 წლის პირველი კვარტალის მონაცემები, როცა 2019 წელთან შედარებით გაიზარდა მცირე და საშუალო სასტუმროების დატვირთვა (იხ. სურ.). ნაწილობრივ ეს ფაქტი უკრაინიდან ლტოლვილთა შემოდინებითაც არის განპირობებული.

სურ. სასტუმროების საშუალო დატვირთვა 2019 და 2022 წლის მარტში [11].

დიდ სასტუმროებს ალბათ მოუწევთ უარის თქმა ისეთ მომსახურებაზე, რომელიც გულისხმობს სტუმართან ახლო კონტაქტს, მაგ.: მიმღები, პორტიეები შეიცვლება ონლაინ მომსახურებით. ნაკლებად მოიხმარენ „შვედურ მაგიდას“ [12].

მოსალოდნელია სასტუმროებში ფასების შემცირება. უკვე 2020 წლის ზაფხულში, პანდემიის პირობებში, საქართველოს საოჯახო სასტუმროებმა გარკვეული ფასდაკლება შესთავაზეს მომხმარებლებს [13].

ექსპერტების აზრით მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც პანდემიამ გაამწვავა, არის მაღალკვალიფიციური კადრების დეფიციტი, გამოწვეული პანდემიის დროს კადრების გადინებით და სხვა სფეროებში გადანაწილებით.

ტურისტული სექტორი, ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით, დროის მოთხოვნების მიხედვით სწრაფად იცვლება. პანდემიამ კიდევ უფრო დააჩქარა ცვლილებების ტემპი. ცვლილებები შეეხება როგორც ტურისტულ მოთხოვნებს, ისე შეთავაზებების სპექტრს. განსაკუთრებით გაიზრდება მოთხოვნა სამკურნალო-გამაჯანსაღებელ, ეკოლოგიურ, აგრო- და სათავგადასავლო ტურიზმზე. შემცირდება მასობრივ ტურიზმში მონაწილეობის მიღების მსურველთა რაოდენობა. შესაბამისად, შეთავაზებები კონკრეტულ, დამოუკიდებელ, ინდივიდუალურ ტურიზმზე გათვლილი უნდა იყოს.

დასკვნა

– კორონავირუსის პანდემიამ დიდ ადამიანურ მსხვერპლთან ერთად, მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიო ეკონომიკა, ყოველდღიური ცხოვრება და პრიორიტეტები. ადამიანებს მოგზაურობის, ხალხმრავალ ადგილებში ყოფნის შიში გაუჩნდათ. ამასთანავე, ბევრი შემოსავლის გარეშე დარჩა და ამიტომ დანახარჯები ტურიზმზე მათ ბიუჯეტში ნაკლებად იქნება გათვალისწინებული.

– პანდემიის შედეგებს დაემატა პოლიტიკური ფაქტორი (ომი უკრაინაში), ამიტომ საქართველოს ტურიზმის ვექტორი სავარაუდოდ გალფის ქვეყნებისაგან გადაინაცვლებს.

– პანდემიამ მნიშვნელოვლად შეცვალა სასტუმრო ინდუსტრიის მომხმარებლების ქცევის წესები და მათი პრიორიტეტები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ინდუსტრიის წინსვლისათვის.

– პანდემიის დროს კიდევ უფრო იჩინა თავი პრობლემამ, რომელიც პანდემიამდელ პერიოდშიც მნიშვნელოვანი იყო სასტუმრო მეურნეობისათვის. ეს არის კადრების გადინება, კვალიფიკაციის ამაღლება.

– საქართველოს ტურისტული სექტორის აღდგენა მოხდება თანდათანობით. პირველ რიგში ტურისტული მოთხოვნა იქნება აპარტამენტებზე. რაც შეეხება ბრენდულ სასტუმროებს მათ ნდობა პანდემიის პირობებშიც შეინარჩუნეს.

ლიტერატურა

1. Dogra, S. (n.d.). COVID-19: Impact on the hospitality workforce. *EHL Insights.* Retrieved from: https://hospitalityinsights.ehl.edu/covid-19-impact-hospitality-workforce
2. PwC Georgia. (2020). Georgian Companies Facing the Challenge of the Covid-19 Pandemic. *In PwC Georgia.* https://www.pwc.com/ge/en/assets/pdf/may-2020/Georgia_Covid-19_survey_Report_Final_Georgian_21.05.20.pdf
3. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia & Georgian National Tourism Administration. (2020). 2019 Georgian Tourism in Figures: Structure & Industry Data. *In gnta.ge.* https://gnta.ge/wp-content/uploads/2021/12/2019_ENG_PRINT.pdf
4. Georgian National Tourism Administration. (n.d). Research. *In gnta.ge.* https://gnta.ge/statistics/
5. *COVID Georgia Live Blog: Wrapped Up After Two Years.* (2022, May 4). Civil Georgia. https://civil.ge/archives/342486
6. Georgian Government. (n.d.). Report on Measures Taken by the Georgian Government Against Covid-19. *In StopCoV.ge*. https://www.gov.ge/files/76338_76338_444796_COVID-19angarishi. . .pdf
7. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia & Georgian National Tourism Administration. (2020). 2020 Georgian Tourism in Figures: Structure & Industry Data. *In gnta.ge.* https://gnta.ge/wp-content/uploads/2021/12/ENG-2020.pdf
8. Georgian National Tourism Administration. (n.d). Research. *In gnta.ge.* https://gnta.ge/statistics/
9. Georgian National Tourism Administration. (2022). In March 2022, 211,484 International Travelers Visited Georgia. *In gnta.ge.* https://gnta.ge/ge/statistic-march/
10. Pamukçu, H., Çalışkan, G., Yasarsoy, E. (2021). Coronavirus (COVID-19) and Crisis Management in Accommodation Businesses. *International Journal of Hospitality & Tourism Systems: Special Issue on COVID-19, 2021.* Retrieved from: https://www.researchgate.net/publication/357118470_Coronavirus_COVID-19_and_Crisis_Management_in_Accommodation_Businesses
11. Kvakhadze, I., Bregadze, G., & Surmava, M. (2022). Tourism: Resilient March. Monthly Watch. *In TBC Capital.* https://static.tbccapital.ge/uploads/files/TourismMonthlyWatch_15-04-2022.pdf?v=1
12. Krishnan, V., Mann, R., Seitzman, N., & Wittkamp, N. (2020, November 5). *Hospitality and COVID-19: How long until 'no vacancy' for US hotels?* McKinsey & Company. https://www.mckinsey.com/industries/travel-logistics-and-infrastructure/our-insights/hospitality-and-covid-19-how-long-until-no-vacancy-for-us-hotels
13. Kvirkvelia, N., & Tsitsagi, M. (2021a). Impact of Covid-19 on Tourism in Georgia - An Overview. *Georgian Geographical Journal, 1*(1). https://doi.org/10.52340/ggj.2021.08.10

UDC 379.85
SCOPUS CODE 1409
https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-4-17-24

The Impact of the Covid-19 Pandemic on Georgian Tourism and its Main Segment – the Hotel Industry

Marine Bokeria Vakhushti Bagrationi Institute of Geography, Tbilisi State University, Georgia, 0177, Tbilisi, 6, M. Tamarashvili str.
E-mail: mbokeria01@gmail.com

Mzia Tutberidze Vakhushti Bagrationi Institute of Geography, Tbilisi State University, Georgia, 0177, Tbilisi, 6, M. Tamarashvili str.
E-mail: mziatutberidze@gmail.com

Reviewers:

E. Salukvadze, Doctor of Geography, Vakhushti Bagrationi Institute of Geography, TSU
E-mail: elene.salukvadze@gmail.com

N. Pavliashvili, Associate Professor of Public Geography, Doctor of Geography, Faculty of Social and Political Sciences, TSU
E-mail: npavliashvili@gmail.com

Abstract. The Covid-19 pandemic, along with human casualties, caused significant damage to many sectors of the economy, primarily, tourism and its main segment – the hotel industry. Before the pandemic, in 2019, in the period of the country's independence, Georgia's tourism reached the highest number. The number of tourist visits reached 5,1 million. Revenues from tourism were 8,4% of GDP, and the number of people working in the industry was 11,6% of the total number of employees in the country. At the end of the first year of the pandemic, international tourist visits to Georgia decreased by 78,5% (in 2020) and 66% of hotels and catering facilities in Georgia stopped their activities. During the epidemic period by the government's decision lots of hotels were used as quarantine spaces and Covid-rooms. In order to overcome the crisis, targeted measures were developed – financial benefits, assistance and special activities were provided for the subjects of the tourism industry, but the crisis management plan was deficient and the need for changes after the pandemic was not considered in it. Pandemic has exacerbated the outflow of personnel and redeployment to other fields. It is expected that the demand for medical-refreshing, as well as ecological adventure travel tours will increase among the other types of tourism in the post-pandemic period, consequently, appropriate accommodation should be provided for the guests.

Keywords: Covid-19; Georgia; hotel industry; pandemic; tourism.

განხილვის თარიღი 29.07.2022
შემოსვლის თარიღი 26.10.2022
ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.12.2022